KA030182061378817

№ 01-19995 **14 / სექტემბერი / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ზაზა სოფრომაძეს

ადამიანური რესურსების მართვისა
და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსის, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზაზა,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 20 სექტემბრიდან 22 სექტემბრის ჩათვლით თურქეთში ქ. ანტალიაში ტრანსპლანტაციის ინტერნაციონალური ქსელის მიერ დაგეგმილია ღონისძიება, რომელიც ეძღვნება ორგანოთა დონაციისა და ტრანსპლანტაციის სამართლებრივ-ეთიკურ საკითხებს.

აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობის მიღების მიზნით, მიწვეულია საქართველოს შრომის, ჯანრმთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალბატონი ნანა კალმახელიძე

ვიზიტთან დაკავშირებული ხარჯებს (მგზავრობა; სასტუმრო; კვება) ანაზღაურებს მიმწვევი მხარე.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში უზრუნველვყოფთ მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი ნანა კალმახელიძისათვის მიმდინარე წლის 20 სექტემბრიდან 23 სექტემბრის ჩათვლით და ასევე დღიური ნორმის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

დანართი:

1.ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსის წერილი;

2.მოწვევის წერილი;

3.ელექტრონული ბილეთი.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია